

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონპროექტზე „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობებულია საქართველოს მიერ ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფისა (FATF) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MONEYVAL) რეკომენდაციების შესრულების საჭიროებით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ეფექტურობის უზრუნველყოფა ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტაბილურობისა და განვითარების მისაღწევად, კანონმდებლობის დარღვევისათვის ეფექტური და ქმედითი სანქციების დაწესების უზრუნველყოფა. აგრეთვე, FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

შემოთავაზებული ცვლილებები განაპირობებულია იმ ფაქტით, რომ FATF-ისა და MONEYVAL-ის რეკომენდაციები მოითხოვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი სათაო საწარმოს მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაარსებული ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების მიმართ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის თვალსაზრისით საქართველოში მოქმედი ზომების ექვივალენტური ღონისძიებების გატარებას, თუკი იმ ქვეყანაში, სადაც არსდება ფილიალი ან იქმნება შვილობილი საწარმო, მოქმედებს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სუსტი რეჟიმი, საქართველოში არსებულთან შედარებით.

ამასანავე, შემოთავაზებული ცვლილებებით ზუსტდება ბაზრის რეგულირებადი მონაწილის განმარტება. ცვლილებების შედეგად, კანონის 55<sup>1</sup> მუხლი ახლებურად ყალიბდება და ასახავს სანქციების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენებაც შეუძლია ეროვნულ ბანკს ფასიანი

ქალაქდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეთა მიმართ, ასევე ეროვნული ბანკის დისკრეციას, გამოიყენოს ან არ გამოიყენოს კონკრეტული სანქციები ბაზრის სტაბილურობის ინტერესებიდან და დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

აღნიშნული კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის აუცილებლობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება ფინანსური ზეგავლენა არ გააჩნია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:**

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.გ) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრი ვახტანგ ბალავაძე.